ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1936 წ. ოქტომბრის 15. № 22 ტფილისი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

მიწის, ტყის და წყლის მეურნეობა.
სოფლის მეურნეობა.

126. „საქართველოს სსრ-ში საბჭოთა მეურნეობებისა, მუშათა მომარაგების განყოფილებების მეურნეობებისა, კოოპერაციის და სხვა ორგანიზაციების მეურნეობების ერთი ნაწილის ლიკვიდაციისა, საბჭოთა მეურნეობების და სხვა მეურნეობებისათვის ზედმეტი მიწების ჩამოჭრისა და ამით კოლექტიური მეურნეობების მიწების გადიდების თაობაზე“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის ივლისის 20-ის დადგენილების განხორციელების შესახებ.

## მიწის, ტყის და წყლის მეურნეობა.
## სოფლის მეურნეობა.

### 126. დადგენილება ს. კ. ს.

**„საქართველოს სსრ-ში საბჭოთა მეურნეობებისა, მუშათა მომარაგების განყოფილებების მეურნეობებისა, კოოპერაციის და სხვა ორგანიზაციების მეურნეობების ერთი ნაწილის ლიკვიდაციისა, საბჭოთა მეურნეობების და სხვა მეურნეობებისათვის ზედმეტი მიწების ჩამოჭრისა და ამით კოლექტიური მეურნეობების მიწების გადიდების თაობაზე“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის ივლისის 20-ის დადგენილების განხორციელების შესახებ.**

„საქართველოს სსრ-ში საბჭოთა მეურნეობებისა, მუშათა მომარაგების განყოფილებების მეურნეობებისა, კოოპერაციის და სხვა ორგანიზაციების მეურნეობების ერთი ნაწილის ლიკვიდაციისა, საბჭოთა მეურნეობების და სხვა მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურნეობებისათვის ზედმეტი მიწების ჩამოჭრისა და ამით კოლექტიური მეურნეობების მიწების გადიდების შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. ივლისის 20-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ ც.ა.კ-ის „იზვესტია“ 1936 წ. ივლისის 21-ისა, № 168; სსრკ კან. კრ. 1936 წ. 40 №-ი, მუხ. 349), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ლიკვიდირებულ იქნას;

ა) 26 საბჭოთა მეურნეობა, ამასთანავე დართულ სიაში ჩამოთვლილი (დანართი № 1);

ბ) მუშათა მომარაგების განყოფილებების, კოოპერაციისა და სხვა ორგანიზაციების 137 მეურნეობა, ამასთანავე დართულ რაიონობით სიაში ჩამოთვლილი (დანართი № 2).

2. შემცირებულ იქნას მიწათსარგებლობა 72 საბჭოთა მეურნეობაში და სხვა მეურნეობებში, რაც ჩამოთვლილია ამასთანავე დართულ სიებში (დანართი № 3 და № 4).

3. ჩამოეჭრას ლიკვიდირებულ და მიწათსარგებლობა-შემცირებულ საბჭოთა მეურნეობებს და სხვა მეურნეობებს 124.148 ჰექტარი მიწა, საიდანაც:

ა) 111.737 ჰექტარი მიეზომოს კოლექტიურ მეურნეობებს მუდმივ სარგებლობად;

ბ) დანარჩენი ნაწილი 12.412 ჰექტარი (რასაც შეადგენს ტყე, მრავალწლიანი ნარგავები, სახნავი და საძოვარი) მიეზომოს საბჭოთა მეურნეობებს, მიეჩინოს სკოლებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს საკარმიდამოდ, გადაქცეულ იქნას ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე ტყეებად და გამოყენებულ იქნას, როგორც გადასახლების ფონდი.

4. კოლექტიური მეურნეობებისათვის მისაზომი მიწების შედგენილობაში გადაეცეს მათ:

ა) 629 ჰექტარი—ჩაის პლანტაცია;

ბ) 62 ჰექტარი—ციტრუსების პლანტაცია;

გ) 125 ჰექტარი—სხვა სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების პლანტაცია;

დ) 394 ჰექტარი—ვენახი;

ე) 1.532 ჰექტარი—ხილის ბაღი;

ვ) 206 ჰექტარი—ყურძნის, ციტრუსებისა და ხილის კულტურების სანერგეები და სადედეები;

ზ) 117 ჰექტარი—სატყეო-ტექნიკური ნარგავები;

თ) 43.243 ჰექტარი—სახნავი;

ი) 9.155 ჰექტარი—სათიბი;

კ) 24.742 ჰექტარი—საზაფხულო საძოვარი;

ლ) 27.856 ჰექტარი—ზამთრის საძოვარი;

მ) 13.770 ჰექტარი—ტყე და ჯაგნარი;

ნ) 1.532 ჰექტარი—საბალახე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) 558 ჰექტარი—საკარმიდამო მიწა;

ვ) 3816 ჰექტარი—გამოუყენებელი მიწა.

5. „საქართველოს სსრ-ში საბჭოთა მეურნეობებისა, მუშათა მომარაგების განყოფილებების მეურნეობებისა, კოოპერაციის და სხვა ორგანიზაციების მეურნეობების ერთი ნაწილის ლიკვიდაციისა, საბჭოთა მეურნეობების და სხვა მეურნეობებისათვის ზედმეტი მიწების ჩამოჭრისა და ამით კოლექტიური მეურნეობების მიწების გადიდების შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. ივლისის 20-ის დადგენილების განსახორციელებლად მოწყობილ იქნას მთავრობის კომისია ამხ. გ. ა. მგალობლიშვილის თავმჯდომარეობით და ამხანაგთა: შ. ს. მათიკაშვილის, ა. მ. კეკელიას, ს. გ. ხოშტარიას, ნ. ა. სუპონევის და ბ. დ. გოგიას შედგენილობით.

6. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან მოეწყოს სარაიონო კომისიები, 1936 წ. ივლისის 20-ის კანონის განსახორციელებლად, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის თავმჯდომარეობით და სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილების გამგისა, სახელმწიფო ბანკის ადგილობრივი განყოფილების მმართველისა, სასოფლო-სამეურნეო ბანკის ადგილობრივი ფილიალის ხელმძღვანელისა და აგრეთვე, მიწების და ქონების გადაცემის და მიღების შესახები საკითხების განხილვის დროს, სათანადო საბჭოთა მეურნეობის დირექტორის (ან მეურნეობის ხელმძღვანელის) და სათანადო კოლექტიური მეურნეობის თავმჯდომარის შედგენილობით.

აღნიშნულ კომისიებს დაეკისროს:

ა) მისაზომი მიწების განაწილება კოლექტიურ მეურნეობებს შორის;

ბ) ლიკვიდირებული საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების ოთხფეხი საქონლის (მუშა-საქონლის, საჯიშო საქონლისა და პროდუქტიული საქონლის), სამანქანო-ტექნიკური ბაზის, შენობებისა და ინვენტარის განაწილება;

გ) კოლმეურნეობებისათვის გადასაცემი ნარგავების, ოთხფეხა საქონლის, შენობებისა და ქონების შეფასება და ამ ობიექტების გამოსასყიდად საჭირო კრედიტის რაოდენობის განსაზღვრა;

დ) იმ ფურაჟისა და თესლეულის რაოდენობის განსაზღვრა, რაც საჭიროა კოლექტიური მეურნეობებისათვის ახალი მიწების მიზომვასა და ოთხფეხა საქონლის გადაცემასთან დაკავშირებით.

დამტკიცებულ იქნას ინსტრუქცია სარაიონო კომისიების მიერ ზემოაღნიშნულ დავალებათა განხორციელების წესის შესახებ.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—წარმოუდგინოს სამი დღის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ლიკვიდირებული საბჭოთა მეურნეობების სამანქანო ტექნიკური ბაზის განაწილების კონკრეტული გეგმა.

8. წინადადება მიეცეს იმ ორგანიზაციებს, რომელთა გამგებლობაშიაც ლიკვიდირებული საბჭოთა მეურნეობები და სხვა მეურნეობები:

ა) დაუყოვნებლივ დანიშნონ სალიკვიდაციო კომისია ამ საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების საქმეებისა და ქონების სალიკვიდაციოდ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) უზრუნველყონ ამ ლიკვიდაციის დამთავრება არა უგვიანეს 1936 წ. ნოემბრის 15-ისა.

**შენიშვნა.** საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტებთან მოეწყობა, ამის გარდა, ცენტრალური სალიკვიდაციო კომისიები.

**9.** სახელმწიფოსათვის ხორცისა და მატყლის სავალდებულო ჩაბარების გეგმებს, რაც დადგენილია 1936 წელს ლიკვიდირებული მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებისათვის, ასრულებენ ეს უკანასკნელნი.

საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის 1936 წელს რძის სავალდებულო ჩაბარების გეგმების შეუსრულებელი ნაწილი გადაიტანება სათანადო საკოლმეურნეო ფერმებზე, მათთვის დადგენილი ნორმების მიხედვით, რაც გადასაცემ ოთხფეხა საქონელზე მოდის.

**10.** წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) გადასინჯოს 10 დღის ვადაზე სამანქანო-სატრაქტორო სადგურების საწარმოო-საფინანსო გეგმები 1936 წელს ივლისის 20-ის კანონით, კოლმეურნეობათა მიწათსარგებლობის შეცვლასთან დაკავშირებით, და იხმაროს ღონისძიებანი ამ სადგურების საბრუნავი სახსრისა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისების ფონდის ხაზით გადადებული ასიგნების სათანადოდ გადიდებისათვის;

ბ) წარმოუდგინოს ამავე ვადაზე სახალხო კომისართა საბჭოს სოფლის მეურნეობის სახელმწიფო გეგმების სტრუქტურაში შესატანი ცვლილებანი, რაც გამომდინარეობს 1936 წელს ივლისის 20-ის კანონიდან;

გ) გაანაწილოს საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების ლიკვიდაციის შედეგად განთავისუფლებულ სპეციალისტთა კადრები (აგრონომები, ზოო და აგროტექნიკოსები, მექანიზატორები, ეკონომისტები, მოანგარიშე მომუშავენი, რომელთა გამოყენებაც სათანადო სისტემების დატოვებულ საბჭოთა მეურნეობებში შეუძლებელია.

**11.** წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, სახელმწიფო ბანკის საქართველოს კონტორას და სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კონტორას—აცნობონ 10 დღის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სალიკვიდირებელი საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების გადასახადებით და ბანკების სესხით დავალიანების ზედმიწევნითი რაოდენობა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. კვირიკაძე.**

1936 წ. აგვისტოს 11. № 977.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დანართები

დანართი № 1

## სია

### საქართველოს სსრ-ში ლიკვიდირებული საბჭოთა მეურნეობებისა.

**1. ციტრუსების საბჭოთა მეურნეობები**

1. ა) სსრკ მიწათმოქმედების სახ. კ-ტის გრიგოლეთის საბჭოთა მეურნეობა.
2. ბ) „ „ „ „ ბიჭვინტის „ „

**II. სხვა სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობები**

3. ა) სსრკ მიწათმოქმედების სახ. კ-ტის ერგეთის ეთეროვან-ზეთოვანი საბჭ. მეურნეობა
4. ბ) „ „ „ „ ქობულეთის ტუნგის სანერგე „ „

**III. მევენახეობისა და მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობები**

5. ა) საქ. სსრ მიწათმოქმედების სახ. კ-ტის სალხინოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა
6. ბ) „ „ „ „ „ აგაიანის „ „ „

**V. ხილის საბჭოთა მეურნეობები**

7. ა) საქ. სსრ. მიწათმოქმედების სახ. კ-ტის დარჩელის თუთის საბჭ. მეურნეობა.
8. ბ) „ „ „ „ „ წულუკიძის „ „
9. გ) „ „ „ „ „ ლაგოდეხის „ „
10. დ) სსრკ საჭამადო მრეწველობის სახ. კ-ტის ხრესილის ხილის საბჭ. მეურნეობა
11. ე) საქ. სსრ მიწათმოქმედების სახ. კ-ტის მერეთის ხილის „ „
12. ვ) „ „ „ „ ქვემო-ახალსოფლის „ „
13. ზ) აფხაზ. ასსრ მიწათმოქმედების სახ. კ-ტის შავქლიავის ხილის „ „

**V. ჭარხლის საბჭოთა მეურნეობები**

14. ა) სსრკ საჭამადო მრეწველობის სახალხო კ-ტის აგარის საბჭოთა მეურნეობა.

**VI. სატყეო-ტექნიკური საბჭოთა მეურნეობები**

15. ა) აჭარის ასსრ სატყეო მეურნეობის ბამბუკის საბჭოთა მეურნეობა.

**VII. მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობები**

16. ა) საქ. სსრ მიწათმოქმედების სახ. კ-ტის ალაზნის მარცვლეულის საბჭ. მეურნეობა.

**VIII. მეცხენეობის საბჭოთა მეურნეობები**

17. ა) სსრკ მიწათმოქმედების სახ. კ-ტის კაჭრეთის მეჯოგეობა-მეცხენეობის საბჭ. მეურ.

**IX. მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობები**

18. ა) სსრკ მიწათმოქმედების სახ. კ-ტის გიაურარხის მეცხვარ. საჯიშო საბჭ. მეურნ.
19. ბ) საქ. სსრ მიწათმოქმედ. სახ. კ-ტის ნორიოს მსხვილფეხა რქოს. საქონ. საბჭ. მეურნ.
20. გ) „ „ „ ბოგდანოვკის „ „
21. დ) „ „ „ ახალქალაქის „ „
22. ე) „ „ „ ყარაბულახის „ „
23. ვ) აჭარის ასსრ მიწათმოქმედების სახ. კ-ტის მსხვილფეხა რქოს. საქონ. სარძ. ფერ.
24. ზ) სამხ.-ოს. ავტ. ოლქის მიწათმოქ. სახ. კ-ტის სტალინირ. მსხვილფ. რქოს. საქონ. ს. მ.
25. თ) საქ. სსრ მიწათმოქმედების სახ. კ-ტის ჭიათურის მეღორეობის საბჭ. მეურნეობა.
26. ი) „ „ „ აჯამეთის „ „ „

დანართი № 2

# რაიონებითი სია

## საქართველოს სსრ-ში მუშათა მომარაგების განყოფილებების, კოოპერაციისა და სხვა ორგანიზაციების სალიკვიდირებელი მეურნეობებისა.

1. ფოთის რაიონი

ა) კოლხიდმშენის ციტრუსების მეურნეობა,
ბ) ფოთის საქალაქო საბჭოს გამგებლობაში მყოფი მეურნეობა „პატარა ფოთი“.

2. ზუგდიდის რაიონი

ა) სარაიონო აღმ. კ-ტის მევენახეობის საბჭ. მეურნეობა სოფ. ჭკადუაშში,
ბ) საქალაქო სამომხმ. ამხ. საბოსტნე მეურნეობა.

3. ცხაკაიას რაიონი

ა) სარაიონო აღმ. კ-ტის მეურნეობა „გლასყური“
ბ) საქალაქო საბჭოს მეურნეობა „ნაშენი“,
გ) სარაიონო საცდელი სადგური სოფ. ნოსირში,
დ) საქართველოს ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის ქალადიდის მეკამეჩეობის საბჭ. მეურნეობა.

4. მარტვილის რაიონი

ა) სარაიონო აღმ. კ-ტის. ვაზის სადედე „ონაგია“.

5 ხობის რაიონი.

ა) ზუგდიდის სატყეო მეურნეობის მეურნეობა სოფ. ხეთაში.

6. მახარაძის რაიონი

ა) საქართველოს ჩაის სრულ. საკავშირო ტრესტის ლეკიანის მეურნეობა,
ბ) სარაიონო აღმ. კ-ტის ზედუბნის სუბტროპიკული მეურნეობა,
გ) გამასწორებელი სახლის ჩაის პლანტაცია,
დ) შეკვეთილის სათევზაო პუნქტის საბოსტნე მეურნეობა,
ე) აბრეშუმსახვევი ფაბრიკის საბოსტნე მეურნეობა,
ვ) „რაიაბრეშუმის“ საბოსტნე მეურნეობა.

7. ჩოხატაურის რაიონი

ა) სარაიონო აღმ. კ-ტის საგამნარის საბჭოთა მეურნეობა.

8. სამტრედიის რაიონი

ა) რკინის გზის სარაიონო მუშათა მომარაგების განყოფილების მეურნეობა.

9. ვანის რაიონი

ა) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მეურნეობა,
ბ) სარაიონო მილიციის განყოფილების მეურნეობა,
გ) შუამთის სკოლის მეურნეობა.

10. ქუთაისის რაიონი

ა) ქუთაისის გარნიზონის სამხედრო ნაწილების მეურნეობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მაღლაკის მეცხოველეობის მეურნეობა,

გ) წყალტუბოს საკურორტო სამმართველოს მეურნეობა,

დ) საქალაქო საბჭოს კვაჩჭირის ხეხილის სანერგე,

ე) რიონჰესის საბოსტნე მეურნეობა,

ვ) ჯანმრთელობის განყ-ბის საბოსტნე მეურნეობა,

ზ) საქბარიტის საბოსტნე მეურნეობა,

თ) საქვაჭრობის „ „

ი) საზოგადოებრივი კვების საბოსტნე მეურნეობა,

კ) ფეხსაცმელის ფაბრიკის „ „

ლ) საბინაო კოოპერაციის „ „

11. ონის რაიონი

ა) მეცხოველეობის მეურნეობა კურორტ შოვში.

12. ცაგერის რაიონი

ა) სარაიონო, ალმ. კ-ტის მევენახეობის მრეწვკომბინატი,

ბ) სარაიონო სამომხ. საზ. საბოსტნე მეურნეობა,

13. ჯუღლის რაიონი

ა) საქარის საცდელი სადგური,

ბ) ფერომარგანეცის ქარხნის მუშათა მომარაგების განყოფილება,

გ) ადგ. მრეწვ. მევენახეობის მეურნეობა,

დ) საქ. სსრ მიწათმოქმედების სახ. კ-ტის აჯამეთის საცდელი მინდორი,

ე) სამტრესტის სვირის დამმზადებელი პუნქტის მეურნეობა.

14. ჭიათურის რაიონი

ა) მარგანეცის მუშათა მომარაგების განყოფილების საგარეთუბნო მეურნეობა.

15. ხაშურის რაიონი

ა) ა/კ. რკინის გზის მუშათა განყოფილების მეურნეობა,

ბ) ტრაქტორის ბრიგადირების სურამის სკოლის მეურნეობა,

გ) საქ. სსრ მთავარი საკურორტო სამმართველოს მეურნეობა,

დ) საქ. უმაღლესი კომუნისტური სასოფლო-სამეურნეო სკოლის მეურნეობა.

16. ბორჯომის რაიონი

ა) მთავარი საკურორტო სამმართველოს სარძეო ფერმა ბაკურიანში,

ბ) სარაიონო ალმ. კ-ტის ახალდაბის დამხმარე მეურნეობა,

გ) მინერალური წყლების ტრესტის ციხისჯვარის სარძეო-სასაქონლო ფერმა.

17. ახალციხის რაიონი

ა) ახალციხის სანაპირო რაზმის დამხმარე მეურნეობა,

ბ) საქ. დიატომიტის დამხმარე მეურნეობა,

გ) კრემლის სამკურნალო-სასანიტარო სამმართველოს დამხმარე მეურნეობა,

დ) ახალციხის სარაიონო ალმ. კ-ტის დამხმარე მეურნეობა,

ე) მილიციის დამხმარე მეურნეობა.

18. ასპინძის რაიონი

ა) სარაიონო ალმ. კ-ტის დამხმარე მეურნეობა,

ბ) შინაგან საქმეთა სახ. კ-ტის სარაიონო განყოფილების და სარაიონო მილიციის დამხმარე მეურნეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**19. ადიგენის რაიონი**

ა) შინაგან საქმეთა სახ. კ-ტის სარაიონო განყოფილების და მილიციის დამხმარე მეურნეობა.

**20. გორის რაიონი**

ა) სარაიონო აღმ. კ-ტის კვერნაკის მეურნეობა,
ბ) გორის მილიციის მეურნეობა,
გ) სატყეო-საცდელი სადგურის მეურნეობა,
დ) საქ. სსრ მიწათმოქმედების სახ. კ-ტის საცდელი სადგურის მეურნეობა,
ე) N ქართული ლეგიონის მეურნეობა,
ვ) საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მეურნეობა,
ზ) შინაგან საქმეთა სახ. კ-ტის გორის ადგ. განყ-ბის მეურნეობა.

**21. კასპის რაიონი**

ა) ჯანმრთელობის სახ. კ-ტის მეურნეობა,
ბ) კასპის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მეურნეობა,
გ) სასწავლო ვეტტექნიკუმის მეურნეობა,
დ) საქ. სსრ მიწათმოქმედების სახ. კ-ტის მეურნეობა,
ე) კასპის საცემენტო ქარხნის მეურნეობა.

**22. ტფილისის რაიონი**

ა) ა/კ რკინის გზის მეურნეობა,
ბ) საქ. სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახ. კ-ტის მეურნეობა,
გ) საქ. წითელი ჯვრის საზ. მეურნეობა,
დ) შინამრეწველობის და სარეწაო კოოპერაციის კავშირის მეურნეობა,
ე) ტფილისის ხორცკომბინატის მეურნეობა,
ვ) ტფილისის სარაიონო აღმ. კ-ტის მეურნეობა,
ზ) ტფილისის სარკინისგზო საავადმყოფოს მეურნეობა,
თ) საქ. გზატრანსის მეურნეობა,
ი) მცხეთის ხე-ტყის სახერხი ქარხნის მეურნეობა,
კ) საქმრეწვპურტრესტის მეურნეობა,
ლ) საქ. სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახ. კ-ტის მეურნეობა,
მ) ავტორემქარხნის მეურნეობა,
ნ) ტფილისის საბჭოს ადგ. მრეწვ. განყ-ბის მეურნეობა,
ო) მაღალვოლტიანი ქსელის სამმართველოს მეურნეობა,
პ) კავშირგაბმულობის სახ. კ-ტის რწმუნებულის (საქართველოში) სამმართველოს მეურნეობა,
ჟ) ტფილისის მაუდის ქარხნის მეურნეობა,
რ) ა/კ. სამხედრო ოლქის ტფილისის გარნიზონის მეურნეობა,
ს) ცეკავშირის მეურნეობა.

**23. დუშეთის რაიონი**

ა) საქავტოტრესტის ბულაჩაურის მეურნეობა.

**24. ყარაიის რაიონი**

ა) შინაგან საქმეთა სახ. კ-ტის ყარაიის მეურნეობა,
ბ) თავდაცვის სახ. კ-ტის ა/კ. სამხედრო ოლქის საწყობების ყარაიის მეურნეობა,
გ) ა/კ. მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის საცდელი ბაზა,
დ) კავშირგაბმულობის მე-2 ცალკეული ბატალიონის მეურნეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

25. ბორჩალოს რაიონი

ა) ა/კ რკინის გზის მუშათა მომარაგების განყოფილება,
ბ) მილიციის ა/კ გაერთიანებული სკოლის მეურნეობა,
გ) შინაგან საქმეთა სახ. კ-ტის მეურნეობა,
დ) კავშირგაბმულობის სახ. კ-ტის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) მუშათა მომარაგების განყოფილება.

26. ლუქსემბურგის რაიონი

ა) შინაგან საქმეთა სახ. კ-ტის სარაიონო განყ-ბის მეურნეობა,
ბ) ლუქსემბურგის სარაიონო კ-ტის მეურნეობა,
გ) ლუქსემბურგის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მეურნეობა,
დ) კოოპერაციული კავშირის „უნიონის“ ვაზის სანერგე.

27. ალბულახის რაიონი

ა) ა/კ. უმაღლესი კომუნისტური სასოფლო-სამეურნეო სკოლის მანგლისის მეურნეობა,
ბ) ა/კ. მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მეურნეობა.

28. საგარეჯოს რაიონი

ა) მონკავშირის საჯიშო მეურნეობა,
ბ) შინაგან საქმეთა სახ. კ-ტის საადმინისტრაციო-სამეურნეო სამმართველოს მეურნეობა,
გ) ტფილისის სატყეო-სამრეწველო მეურნეობა „ყორული“,
დ) ა/კ. ინდუსტრიალური ინსტიტუტის მეურნეობა,
ე) საქწყალსამმართველოს მეურნეობა.

29. თელავის რაიონი

ა) საქართველოს რესპუბლიკანური სააფთიაქო სამმართველოს სამკურნალო მცენარეთა ფშავლის მეურნეობა,
ბ) სარაიონო ალმ. კ-ტის მევენახეობისა და მეღვინეობის კომბინატის მეურნეობა.

30. ყვარლის რაიონი

ა) ა/კ. რკინის გზის მუშათა მომარაგების სარაიონო განყ-ბის შილდის მეღორეობის მეურნეობა.
ბ) სარაიონო ალმ. კ-ტის ენისლის მეურნეობა.

31. სიღნაღის რაიონი

ა) სარაიონო ალმ. კ-ტის მეურნეობა.

32. აჭარის ასსრ

ა) სახალხო განათლების ბათუმის განყ-ბის მეურნეობა,
ბ) აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახ. კ-ტის მეურნეობა,
გ) ბათუმის საქალაქო საბჭოს სასანიტარო ტრანსპორტის მეურნეობა,
დ) ა/კ. რკინის გზების მეურნეობა,
ე) ბათუმის გარნიზონის ნაწილების მეურნეობა,
ვ) აჭარის საკურორტო სამმართველოს მეურნეობა,
ზ) საქ. სსრ მიწათმოქმედების სახ. კ-ტის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის სადეკორაციო კულტურების სანერგე,
თ) აჭარის ასსრ მიწათმოქმედების სახ. კ-ტის საცდელი ნაკვეთი ხულოს რაიონში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

33. აფხაზეთის ასსრ

ა) აფხაზეთის საკურორტო სამმართველოს ჩერნორეჩკის მეცხოვ. მეურნეობა (გუდაუთის რაიონი),
ბ) შინაგან საქმეთა სახ. კ-ტის სამეურნეო განყოფილების მეურნეობა (გუდაუთის რ.)
გ) „სოვტორგფლოტის" მეურნეობა (გუდაუთის რ.),
დ) „სოიუზტრანსის" მეურნეობა (გუდაუთის რ.),
ე) „აფხაზვაჭრობის" მეურნეობა (სოხუმის რ.),
ვ) ტყავის ქარხნის მეურნეობა (სოხუმის რ.),
თ) შინაგან საქმეთა სახ. კ-ტის სამმართველოს (აფხაზეთში) სამეურნეო განყ-ბის მეურნეობა „ქამანი" (სოხუმის რ.),
ზ) „რაითამბაქოს" მეურნეობა (სოხუმის რ.),
ი) შინაგან საქმეთა სახ. კ-ტის სამმართველოს (აფხაზეთში) სამეურნეო განყ-ბის სკურჩის მეურნეობა,
კ) „ვიემის" მეურნეობა (ოჩემჩირის რ.),
ლ) სოხუმის საქალაქო საბჭოს კომუნმომარაგების მეურნეობა (ოჩემჩირის რ.),
მ) აფხაზეთის „კურორტმომარაგება-ვაჭრობის" მეურნეობა (ოჩემჩირის რ.),
ნ) „ტყვარჩელნახშირის" მუშათა მომარაგების განყ-ბის მეურნეობა (ოჩემჩირის რ.),
ო) სსრკ ცენტრ. აღმ. კ-ტის დასვენების სახლის მეურნეობა (გაგრის რ.),
პ) ჩელუსკინელთა სახელობის დასვენების სახლის მეურნეობა (გაგრის რ.).
რ) გაგრის „რაითამბაქოს" მეურნეობა (გაგრის რ.),
ს) გუდაუთის „რაითამბაქოს" მეურნეობა (გუდაუთის რ.),
ტ) „სინოპის" დასვენების სახლის მეურნეობა (სოხუმის რ.),

34. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი

ა) ლენინგორის სარაიონო აღმ.კ-ტის მეურნეობა.

დანართი № 3

## ს ი ა

### იმ საბჭოთა მეურნეობებისა, რომელთაც უნდა ჩამოეჭრათ მიწები

I. ჩაის საბჭოთა მეურნეობები

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ა) | სსრკ საჭამადო მრეწველობის | სახ. | კ-ტის | დიდი | ჭყონის | საბჭ. | მეურნეობა. |
| 2. ბ) | " | " | " | " | " | ნარაზენის | " | " |
| 3. გ) | " | " | " | " | " | ჯოგეჯიანის | " | " |
| 4. დ) | " | " | " | " | " | ნასაკირალის | " | " |
| 5. ე) | " | " | " | " | " | ლაითურის | " | " |
| 6. ვ) | " | " | " | " | " | ლესიჭინის | " | " |
| 7. ზ) | " | " | " | " | " | წალენჯიხის | " | " |
| 8. თ) | " | " | " | " | " | წულუკიძის | " | " |
| 9. ი) | " | " | " | " | " | ჩაქვის | " | " |
| 10. კ) | " | " | " | " | " | ოჩხამურის | " | " |
| 11. ლ) | " | " | " | " | " | კოდორის | " | " |
| 12. მ) | " | " | " | " | " | აჩიგვარის | " | " |

II. ციტრუსების საბჭოთა მეურნეობები

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13. ა) | სსრკ მიწათმოქმედების | სახალხო | კ-ტის | მუხაესტატეს | საბჭოთა | მეურნეობა |
| 14. ბ) | " | " | " | " | კვირიკეს | " | " |

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. გ) სსრკ საჭამადო მრეწველობის სახ.კ-ტის ალამბარის საბჭოთა მეურნეობა
16. დ) „ „ „ „ გონიის „ „
17. ე) „ „ „ „ ცეცხლაურის „ „
18. ვ) „ „ „ „ კოხორის „ „
19. ზ) „ „ „ „ ანაკლიის „ „
20. თ) „ „ „ „ ურეკის „ „
21. ი) აჭარის ასსრ მიწათმოქმედების სახ. კ-ტის ახალშენის „ „
22. კ) აფხაზ. ასსრ „ „ „ ფსირცხის „ „
23. ლ) „ „ „ „ „ „ილიჩის“ „ „

III. სხვა სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობები

24. ა) სსრკ მიწათმოქმედების სახ. კ-ტის ჯიხანჯირის ტუნგის საბჭოთა მეურნეობა
25. ბ) „ „ „ „ კოხის „ „ „
26. გ) „ „ „ „ „მოკვა“ № 2 „ „ „
27. დ) აჭარის ასსს მიწათმოქ. სახალხო კ-ტის მერანის „ „ „
28. ე) აფხაზ. ასსრ „ „ „ თამიშის „ „ „
29. ვ) „ „ „ „ მე-III ინტერნაციონალის „ „

VI. მევენახეობისა და მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობები

30. ა) საქ. სსრ მიწათმოქმედების სახ. კ-ტის ვაჩევის საბჭ. მეურნეობა
31. ბ) „ „ „ „ „ არგვეთის „ „
32. გ) „ „ „ „ „ ვარციხის „ „
33. დ) „ „ „ „ „ გიაურ-არხის „ „
34. ე) „ „ „ „ „ კულარის „ „
35. ვ) „ „ „ „ „ მუხრანის „ „
36. ზ) „ „ „ „ „ ნაფარეულის „ „
37. თ) „ „ „ „ „ წინანდალის „ „
38. ი) „ „ „ „ „ მანავის „ „
39. კ) „ „ „ „ „ მუკუზნის „ „
40. ლ) „ „ „ „ „ ხირსის „ „
41. მ) აფხაზეთის ასსრ მიწათმოქმედების სახ.კ-ტის ბომბორის საბჭ. მეურნეობა

V. ხილის საბჭოთა მეურნეობები

42. ა) სსრკ საჭამადო მრეწველობის სახ. კ-ტის გორის ხილ-ბოსტნის საბჭ. მეურნეობა,
43. ბ) საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახ. კ-ტის კინწვისის ხილის „ „
44. გ) „ „ „ „ „ ვარიანის „ „ „
45. დ) „ „ „ „ „ ბებნისის „ „ „
46. ე) „ „ „ „ „ ბრეთის „ „ „

VI. რძის საბჭოთა მეურნეობები

47. ა) სსრკ მიწათმოქმედების სახ. კ-ტის ტეხურის საბჭოთა მეურნეობა,
48. ბ) „ „ „ „ ქვალონის „ „
49. გ) „ „ „ „ ალაზნის „ „

VII. სატყეო ტექნიკური საბჭოთა მეურნეობები

50. ა) სსრკ მძიმე მრეწველობის სახ. კ-ტის კაუჩუკის სამრეწველო მეურნეობა № 7.
51. ბ) სსრკ სატყეო მრეწველობის სახ. კ-ტის ზუგდიდის კორპის სატყეო-სამრეწ. მეურნ.
52. გ) „ „ „ სახ. კ-ტის ქუთაისის კორპის სატყეო-სამრეწვ. მეურნეობა.

VIII. მეცხენეობის საბჭოთა მეურნეობები

53. ა) სსრკ მიწათმოქმედების სახ. კ-ტის ცივა-ტეხურის საბჭ. მეურნეობა № 118,
54. ბ) „ „ „ კულარის „ „ № 73,
55. გ) „ „ „ ყარაიის „ „ № 85,

IX. მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობები

56. ა) სსრკ მიწათმოქმ. სახ. კ-ტის ბაშკიჩეთის მსხვილფეხა რქოსანი საქ. საბჭ. მეურნ
57. ბ) „ „ „ „ ციხისჯვარის „ „ „ „ „
58. გ) საქ. სსრ მიწათმოქმედების სახ. კ-ტის უდაბნოს მეცხვარეობის საბჭ. მეურნ.

დანართი № 4

## რაიონობითი სია

**მუშათა მომარაგების განყოფილებების, კოოპერაციის და სხვა ორგანიზაციების ლიკვიდირებული მეურნეობებისა, რომელთაც უნდა ჩამოერთვას მიწები.**

1. ქუთაისის რაიონი

ა) მაუდის ქარხნის მეურნეობა,
ბ) ქალაქის გაწმენდა-გასუფთავების ტრესტის მეურნეობა,
გ) საკონსერვო ქარხნის მეურნეობა (ბოსტნები).

2. ამბროლაურის რაიონი

ა) სარაიონო აღმ. კ-ტის მრეწვკომბინატის ხვანჭკარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა.

3. ონის რაიონი

ა) „მოლიბდენმშენის" სურსათმომარაგების მეურნეობა.

4. ჩხარის რაიონი

„სამტრესტის" ჩხარის დამმზადებელა პუნქტის თერჯოლის მეურნეობა.

5. ბორჩალოს რაიონი

სარაიონო აღმ. კ-ტის სანერგე მეურნეობა.

6. გურჯაანის რაიონი

ა) სარაიონო აღმ. კ-ტის მეურნეობა,
ბ) „სამტრესტის" გურჯაანის დამმზადებელი პუნქტის მეურნეობა.

7. თელავის რაიონი

„სამტრესტის" დამმზადებელი პუნქტის იყალთოს მეურნეობა.

8. სიღნაღის რაიონი

„საქნავთის" მუშათა მომარაგების განყ-ბის მეურნეობა.

9. ადიგენის რაიონი

სარაიონო აღმ. კ-ტის ბენსონის მეურნეობა.

10. აჭარის ასსრ

ა) ბათუმის ნავთსახდელის მუშათა მომარაგების განყ-ბის მეურნეობა,
ბ) ბათუმის სარაიონო აღმ. კ-ტის მეურნეობა.

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1936 წ. № 43. პ/მ. რედაქტორი ე. ბაგრაძელი

ქაღალდის ფორმატი 62X94 სმ.; 3/4 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი
გადაეცა სტამბას 31/VIII; ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/X; ტირაჟი 1.900
მთავლ. რწმ. № 87070. საქ.სახ.კომ.საბჭოს საქმ. მმართვ. სტამბა, ტფილისი. დაკვ. № 887